აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის

თანამშრომლობის მემორანდუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო
კომისია

ქ. ბათუმი 2 მაისი, 2018 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდეგში ,,სამინისტრო",საიდენტიფიკაციო კოდი - 245427667), წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, ინგა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (შემდეგში - ,,უსკო", საიდენტიფიკაციო კოდი - 245442971), წარმოდგენილი უსკოს თავმჯდომარის, პარმენ ჯალაღონიას სახით:

ა) ითვალისწინებენ რა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო კულტურის განვითარების მნიშვნელობას;

ბ) იზიარებენ რა არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების, მომავალი თაობის ინფორმირებულობის აუცილებლობას, ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობას ქვეყნის მართვაში;

გ) მიიჩნევენ რა მნიშვნელოვნად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის ინფორმირებასა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას;

დ) აღიარებენ რა თითოეული მოქალაქის მონაწილეობის მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიული განვითარების პროცესში, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე;

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმი მიზნად ისახავს ხელი შეეწყოს საჯარო სკოლების (შემდეგში - ,,სკოლა") საშუალო საფეხურის (X- XI-XII კლასები) მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას დემოკრატიული არჩევნების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში თითოეული ამომრჩევლის როლის მნიშვნელობაზე.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნებისათვის, თანასწორობისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობით, სკოლის საშუალო საფეხურის (X-XI-XII კლასები) მოსწავლეებისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის ,,ჩემი პირველი არჩევნები" (შემდეგში - ,,საინფორმაციო შეხვედრა") გამართვა.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 უსკო უზრუნველყოფს:

3.1.1 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის საკითხების, შესაბამისი მასალის შემუშავებას და ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სამინისტროსთან შეთანხმებას;

3.1.2 ტრენერების მომზადებას სკოლებში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის ჩასატარებლად;

3.1.3 შეხვედრის გამართვას წინამდებარე მემორანდუმის 3.2.2 პუნქტით განსაზღვრულ სკოლებში, სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის (თარიღი, დრო) მიხედვით;

3.1.4 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაში მონაწილე საშუალო საფეხურის (X-XI-XII კლასები) მოსწავლეებსა და ტრენერებს აუცილებელი სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;

3.1.5 წინამდებარე მემორანდუმის 3.2.2 პუნქტით განსაზღვრულ სკოლებში მემორანდუმით გათვალისწინებული საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის მონიტორინგს;

3.1.6 შეხვედრის მიმდინარეობისას წარმოშობილი საკითხების სამინისტროს რეკომენდაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობას;

3.1.7 სამინისტროსთვის იმ სკოლების (ნუსხის) შესახებ ინიციატივის წარდგენას, სადაც მიზანშეწონილად მიიჩნევს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის ჩატარებას.

3.2 სამინისტრო:

3.2.1 ითანხმებს უსკოს მიერ წარმოდგენილ, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის საკითხებსა და შესაბამის მასალას ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

3.2.2 უსკოს წარდგინებით განსაზღვრავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სკოლებს (ნუსხას), სადაც უნდა გაიმართოს შეხვედრები და უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას საინფორმაციო ხასიათის შეხვედრის (გრაფიკი,თარიღი,დრო) შესახებ;

3.2.3 ითანხმებს უსკოს მიერ წარმოდგენილ, შეხვედრების გრაფიკს (თარიღი, დრო) შესაბამისი სკოლების ინტერესების გათვალისწინებით;

3.2.4 ხელს უწყობს უსკოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების წინამდებარე მემორანდუმის 3.2.2 პუნქტით განსაზღვრულ სკოლებში ჩატარებას;

3.2.5 შეიმუშავებს და გასცემს რეკომენდაციებს შეხვედრის მიმდინარეობისას წამოჭრილ საკითხებზე.

მუხლი 4. მემორანდუმის სხვა პირობები

4.1 ცალკეული ღონისძიებები და ერთობლივი აქტივობები, რომლებიც გამომდინარეობს ამ მემორანდუმით დასახული მიზნებიდან, რეგულირდება მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

4.2 მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობით, წერილობითი ფორმით.

4.3 მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, 30 კალენდარული დღით ადრე მეორე მხარის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4.4 მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელიც ინახება მხარეებთან.

4.5 მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან განუსაზღვრელი ვადით.

მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო **მინისტრი** ---------- **ინგა შამილიშვილი**	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია** **თავმჯდომარე** ---------- **პარმენ ჯალაღონია**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია